

11/12/2025



MES 6 25 0001771413

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 27 ნოემბერს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85211618130>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო)
წევრები:**

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი - საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი;
დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი;
ანა აროშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.

**სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი)
წარმომადგენლები:**

ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მარიამ ჩოხელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ირმა ქორთუა

ავთანდილ გეგენავა

დაწესებულებები სწარმომადგენლები:

შპს ინტერბიზნესის აკადემია

ინგა მანაშერიძე - დირექტორი;

ნაზო წიბლიაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

შორენა ხაჭაპურიძე - დირექტორი ;

შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი

ლალი ხვედელიძე - შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ელიდა ხვედელიძე - შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით;

ასმათ დიასამიძე - შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

გიორგი გაბედავა - შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი;

მზევინარ ძირკვაძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;

ია ვერულიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი პროფესიული განათლების მიმართულებით;

ქეთევან ბაუჭაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი პროფესიული განათლების მიმართულებით;

დავით ბერიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ - ხელმძღვანელი;

ლევან ქარჩავა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ - ხელმძღვანელი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს ინტერბიზნესის აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის №936737 გადაწყვეტილებაში“ ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 24 ივნისის №740264 გადაწყვეტილებაში“ ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტისათვის "საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტისათვის "გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომაზე შუამდგომლობა წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისივე განმარტებით, ცენტრს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს ა(ა)იპ საპატრიარქოს დეკორატიული მეზაღეობის საზოგადოებრივმა კოლეჯმა და წარმოადგინა წერილი მისამართის ცვლილების შესახებ. კოლეჯი ითხოვდა, რომ ცვლილება შესულიყო 2022 წლის 19 დეკემბრის №1622598 გადაწყვეტილებაში და მასში მითითებული მისამართი შეცვლილიყო შემდეგი მისამართით: „ქ. თბილისი, ქვემო ელია, სამრეკლოს ქ. N19, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის კომპლექსი“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 დეკემბრის N1622598 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :

მომხრე: 8

წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 დეკემბრის N1622598 გადაწყვეტილებაში, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1)**.

პირველი საკითხი: შპს ინტერბიზნესის აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936737 გადაწყვეტილებაში“ ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) დარეგისტრირდა შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ წერილი N1425506 (29.10.2025). დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განახლებული პაკეტი, რომელიც შემუშავებულია განახლებული პროფესიული

საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად. პროგრამის მოდიფიცირებამ გამოიწვია შემდეგი პარამეტრების ცვლილება:

- პროგრამის სახელწოდება: „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“
- კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის: 55 კრედიტი
- კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის: 70 კრედიტი

დაწესებულების განმარტებით, 2025 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლება განხორციელდება განახლებული საგანმანათლებლო პროგრამით („ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“). დაწესებულება შუამდგომლობს, რომ საბჭომ განიხილოს აღნიშნული პროგრამის პარამეტრების ცვლილება. ასევე განმარტებულია, რომ ცვლილება უნდა აისახოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის №936737 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ინტერბიზნესის აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის №936737 გადაწყვეტილებაში“ ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :

მომხრე: 8

წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს “შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936737 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: ცვლილება განხორციელდეს „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების N936737 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 2**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 27 ნოემბერი.

მეორე საკითხი: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 24 ივნისის №740264 გადაწყვეტილებაში“ ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) დარეგისტრირდა შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის“ წერილი №1422904 (29.10.2025). დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განახლებული პაკეტი, რომელიც შემუშავებულია განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად. პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა შემდეგი პარამეტრები:

- კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის: 55 კრედიტი
- კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის: 70 კრედიტი

დაწესებულების განმარტებით, განხორციელებული ცვლილება არ გავრცელდება 2025 წლის საგაზაფხულო მიღების პროფესიული სტუდენტებზე. დაწესებულება შუამდგომლობს, რომ საბჭომ განიხილოს აღნიშნული პროგრამის პარამეტრების ცვლილება. ასევე აღნიშნულია, რომ ცვლილება უნდა აისახოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 24 ივნისის №9740264 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 24 ივნისის №9740264 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგი :

მომხრე: 8

წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 24 ივნისის N740264

გადაწყვეტილებაში, კერძოდ: ცვლილება განხორციელდეს „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების N740264 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 3**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 27 ნოემბერი.

მესამე საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტისათვის "საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

მეოთხე საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტისათვის "გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა ქორთუა მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტების საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 01.10.2025 წლის MES 9 25 0001267227 და MES 2 25 0001267248 ბრძანებების საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფებს დაევალა შპს „ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი“ (მისამართი: თამარ მეფის გამზირი №38, ქ. ბათუმი, მახინჯაური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და

"გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია" დამატებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა და ადგილზე ვიზიტების განხორციელება, რათა შემოწმებულიყო საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისობა.

ექსპერტთა ჯგუფებმა შეისწავლა განაცხადთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 16 ოქტომბერს განახორციელა ადგილზე ვიზიტი, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა გამართეს შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათ შორის პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს თავმჯდომარესთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და თანახელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და სამსახურების სპეციალისტებთან პროფესიული განათლების მიმართულებით, ბიბლიოთეკართან, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, ექსპერტებმა ვიზუალურად შეამოწმეს პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსები, აღჭურვილობა, ასევე ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსები. ვიზიტის დასრულების შემდეგ ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების პროცესში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტის შედეგები.

ამის შემდეგ ექსპერტმა ირმა ქორთუამ დარგის ექსპერტთან ავთანდილ გეგენავასთან ერთად საბჭოს წარუდგინა ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრეზენტაცია. მან ასევე, აღნიშნა რომ დაწესებულებაში არ დაფიქსირებულა ხარვეზი და არ გაცემულა რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები - „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და "გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და "გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია" განხორციელების მიზანშეწონილობა ეყრდნობა ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: რესურსული, ეკონომიკური, ოპერაციული, კონცეპტუალური მიზანშეწონილობები. დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის ბაზრის კვლევების ანგარიშები, ვაკანსიების ანალიზი, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის შედეგები. პროგრამები სრულად შეესაბამება და პასუხობს დაწესებულების პროფილს და მისიას - უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე სავაჭრო საზღვაო და ლოგისტიკურ დარგში წარმატებული კარიერის მისაღწევად.

2024 წლის 01 ივლისიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი „მეზღვაურთა შრომის შესახებ“, რომელიც ქმნის საზღვაო სფეროში დასაქმების მყარ საფუძვლებს და ადგენს შრომის პირობების გარანტიებს, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის დამსაქმების მსურველთათვის. პროგრამის კურსდამთავრებულთა 70% დასაქმებულია, ხოლო დასაქმებულთა შორის პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი 80%-ია. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მონაცემებით, დასაქმების მზარდი ტენდენცია ადასტურებს მაღალ მოთხოვნას რიგითეებზე, განსაკუთრებით გემბანის და სამანქანე განყოფილების მიმართულებებში. დასაქმებაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიშები ექვსამდე სხვადასხვა კვლევის შედეგების, მათ შორის საქართველოში მოქმედი საკრუინგო კომპანიების გამოკითხვები შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. ანგარიშების მიხედვით ბაზრის მოთხოვნა გემბანის რიგითეებზე გაზრდილია ხანგრძლივი ნაოსნობის,

რთული ოპერაციების და უსაფრთხოების მაღალი მოთხოვნების პირობებში, ტექნოლოგიურად რთულ ამბრავ მექანიზმებთან და გამონაბოლქვის შემცირების სისტემებთან სამუშაოდ. დაწესებულებას გააჩნია საკმარისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, ჰყავს პარტნიორები პროგრამის განსახორციელებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ ელენე კაკაბაძემ მაღლობა გადაუხადა ირმა ქორთუას წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გოჩა გოგიტიძე დაინტერესდა, 130 სტუდენტს ერთ მიღებაზე იღებდა თუ არა დაწესებულება. მან აღნიშნა, რომ 130 სტუდენტის მიღების შემთხვევაში ჯგუფები 15–15 სტუდენტად უნდა დაყოფილიყო, რის შედეგადაც შეიქმნებოდა 4 ჯგუფი, ხოლო მასწავლებელთა დატვირთვა 36 საათს აღწევდა. ასევე, 35 საათიანი დატვირთვით მასწავლებელი კვირაში 35 საათს ატარებს საკონტაქტოს რაც დღეში 7 საათს შეადგენს, მანვე აღნიშნა, რომ 4 ჯგუფზე გადანაწილების შემთხვევაში გარკვეული პრობლემები წარმოიქმნება.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ხათუნა ჩხარტიშვილი.

ლალი ხვედელიძემ, შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჩაერთო და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მიღება ორ ჯგუფად მიმდინარეობს. მან განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყო მეტი სტუდენტის მიღება, თუმცა გემის რესურსის სიმცირის გამო ეს არასდროს არ განხორციელებულა.

ლალი ხვედელიძემ დასძინა, რომ ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს აცნობეს, რომ თავდაპირველ ჩამონათვალში წარმოდგენილი პრაქტიკული გემები და მათი ხელშეკრულებები შეიცვალა. გემი "ახტიარს" არ ჰქონდა შეთანხმება საზღვაო სააგენტოსთან დოკუმენტებთან დაკავშირებით, რის გამოც აღნიშნული გემი ვერ იქნებოდა პრაქტიკის ობიექტი პროფესიული სტუდენტებისთვის, თუმცა შესაძლებელი იყო სხვა გემების მოძიება. მან განმარტა, რომ გემი, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებელს აქვს საკუთარი გემი პროფესიული პრაქტიკისთვის, არის სხვისი საკუთრება, შეიძლება მოულოდნელად გაიყიდოს ან ავარიული მდგომარეობა შეექმნას, რის შედეგადაც პრაქტიკისთვის განსაზღვრული დროით ვერ იქნებოდა გამოყენებული. ლალი ხვედელიძემ აღნიშნა, რომ სასწრაფოდ იქნა მიღებული ზომები და სხვა გემები მოიძიეს, რაშიც დიდად დაეხმარა ბათუმის პორტის ხელმძღვანელობა. შედეგად ერთის ნაცვლად 4 გემი გახდა ხელმისაწვდომი. მან ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ, რომ შემდგომში ხელშეკრულებები ელექტრონულად წარუდგინონ. ლალი ხვედელიძემ აღნიშნა, რომ მათი მხრიდან შეცდომა იყო, რომ საბჭოს წევრებს დროულად არ შეატყობინეს, თუმცა დასძინა, რომ ხელშეკრულებები და მემორანდუმები უკვე არსებული იყო.

დავით ჯინჭარაძემ, როგორც საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენელმა და დარგის ექსპერტმა, რომელიც 2011 წლიდან მუშაობს უწყებაში, განმარტა, რომ მისი მოვალეობებია მეზღვაურთა სერტიფიცირება და საზღვაო სისტემების ზედამხედველობა. მან განაცხადა, რომ იცის აღნიშნული სასწავლებლის განვითარების ეტაპები 2011-2014 წლებში და აღნიშნული დაწესებულება ამჟამად მიზანმიმართულად ვითარდება. მისი შეფასებით, დაწესებულებას გააჩნია გაუმჯობესებული აღჭურვილობა, ახალი ლექტორ-მასწავლებლები და განახლებული მენეჯმენტი. დავით ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ ბათუმის პორტთან გაფორმებული ხელშეკრულებები უზრუნველყოფს გემების პრაქტიკული სწავლების კომპონენტებში გამოყენებას. გემ "ახტიარს" აქვს გარკვეული პრობლემა, რომელიც შესაძლებელია გამოსწორდეს და საჭიროების შემთხვევაში გემის მფლობელმა შესაძლოა სხვაგან მოიძიოს შესაბამისი გემი.

დავით ჯინჭარაძემ საბჭოსთვის აღნიშნა, რომ აღნიშნული გემი ჯერჯერობით არ უნდა გამოყენებულიყო პრაქტიკის ობიექტად, სანამ პრობლემა არ აღმოიფხვრებოდა; მოგვიანებით გემის გამოყენება შესაძლებელი იქნება რეგისტრაციისა და დროშის შესაბამისობის მიღების შემდეგ. დავით ჯინჭარაძემ ასევე სთხოვა დაწესებულებას, რომ ახალი გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც უკვე ცნობილია საბჭოსთვის, მიაწოდოს ცენტრს და დაემატოს პრაქტიკის ობიექტების სიაში. მან აღნიშნა, რომ ყოველწლიურად ატარებს აუდიტებს აღნიშნულ სასწავლებელში, როგორც დაგეგმილ, ასევე დაუგეგმავ მონიტორინგებს, და ბოლო წლებში ყოველთვის კმაყოფილია დაწესებულების საქმიანობით.

ამის შემდეგ ნათია ბუთხუშმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, როგორ ხდებოდა სტუდენტების განაწილება C გარემოში, სადაც სივრცეები სხვადასხვა რაოდენობის სტუდენტზე იყო გათვლილი (12 სტუდენტი, 6 სტუდენტი და სხვა), შესაბამისი აღჭურვილობის გათვალისწინებით, ისე, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საკმარისი იყოს. მისი შთაბეჭდილებით, სხვადასხვა ციფრების მიხედვით სივრცეები, სასწავლო გეგმა და პედაგოგების რაოდენობა გარკვეულწილად არ ფარავდა საჭირო კავშირს.

ლალი ხვედელიძემ განმარტა, რომ A, B, C გარემო ზუსტად გათვლილია აუდიტორიების მიხედვით სტუდენტებისთვის, მაგალითად, ჯგუფში 25–30 სტუდენტი. 6–კაციანი აუდიტორიები წარმოადგენს სიმულატორებს, სადაც პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის უბრალოდ ტარდება გაცნობითი ხასიათის შეხვედრები. ეს სივრცეები გათვლილია უმაღლესი განათლების სტუდენტებისთვის, ნავიგატორებისა და მატროსებისთვის, რომლებიც მოგვიანებით ავლენენ პრაქტიკულ უნარებს გემზე.

ნათია ბუთხუშმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს შეკითხვით, თუ როგორ შეიძლება 70 სტუდენტის დაყოფა 2 ან 3 ჯგუფად და მათი განთავსება 12–კაციან სიმულაციის ოთახში.

ლალი ხვედელიძემ განმარტა, რომ 6–კაციან სივრცეში შეიძლებოდა 12–15 სტუდენტის განთავსება, სადაც ლექტორი აჩვენებდა პროცესს, მათი სტუდენტები არ მონაწილეობენ. დიდი ჯგუფების შემთხვევაში უსაფრთხოების კუთხით, პირველადი სამედიცინო დახმარების სწავლებისათვის გათვალისწინებულია უფრო დიდი აუდიტორია (25–კაციანი), ხოლო ნავიგაციის ხიდურის სიმულატორებში ტარდება გაცნობითი კურსი მაქსიმუმ 1–2 საათის განმავლობაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ადგილზეც, ვიზიტის დროს გაჩნდა იგივე კითხვები და დაწესებულებამ განმარტა, რომ რეალურად შესაძლებელია 15 სტუდენტის მიღება, რომელთა შორის 6 ადამიანს შეუძლია პროცესის ნახვა. აღნიშნული სივრცე გამოიყენება მხოლოდ საჩვენებლად, ხოლო პროცესი გრძელდება დაახლოებით 5–10 წუთი.

დავით ჯინჭარაძის განცხადებით, სასწავლებელს აღებული აქვს მოდელ კურსები, სადაც განსაზღვრულია მონაწილეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა. პროფესიული განათლების კუთხით, ახალი მოდულების დანერგვისა და პრაქტიკის კომპონენტის დამატების შემდეგ, პრაქტიკა გახდა 3-თვიანი. სიმულატორის გამოყენება წარმოადგენს ნაწილობრივ მოთხოვნას, მაგრამ აუცილებელი არაა. საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სწავლების დროს, თეორიული გაკვეთილების ფარგლებში, მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს პრაქტიკულად აჩვენოს სიმულატორის მუშაობა. სიმულატორები პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება იმისთვის, რომ სტუდენტები კლასიდან პირდაპირ გამოვიდნენ და ადგილზე დაინახონ, სანამ გემზე წაიყვანენ.

ნათია ბუთხუშმა აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა იყენებს B და C გარემოს სივრცეებს, რაც ბუნებრივია იწვევს კითხვებს პრაქტიკის ობიექტთან დაკავშირებით, რადგან ერთი და იგივე მოდულები ერთი და იგივე პრაქტიკის ობიექტზე ერთსა და იმავე დროს ტარდება.

დავით ჯინჭარაძემ განაცხადა, რომ ეს საკითხი მასაც აინტერესებდა და განმარტა, რომ სასწავლებელს აღებული აქვს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მოდელ კურსები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია 30 სტუდენტის ერთ სივრცეში ჩართვა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაუდასტურა, რომ ეს ასეა. დავით ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ შეყვანა-გამოყვანის პროცესი უშუალოდ სასწავლებლის პასუხისმგებლობაა, მთავარია პროცესი შედეგზე იყოს მორგებული. ეს არის ჩვეულებრივი პროცესის ნაწილი, რომელსაც სასწავლებელი საკუთარი შეხედულებით დააღაგებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ავთანდილ გეგენავას, დარგის ექსპერტს, შემდეგი შეკითხვით, 2024 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი მეზღვაურთა შრომის შესახებ, რომელიც ქმნის საზღვაო სფეროში დასაქმების მყარ საფუძველს. ის დაინტერესდა, კონკრეტულად რა პრობლემებს ვერ წყვეტდა ძველი რეგულაცია, რასაც ახალი კანონი მოაგვარებს, რა გავლენას მოახდენს ცვლილება ქართველი მეზღვაურების დასაქმებაზე უცხოურ გემებზე და რა რეალური გარანტიები მიიღო სტუდენტმა ახალ კანონში, რაც ძველში არ იყო გათვალისწინებული.

ექსპერტის განცხადებით, ახალი კონვენციის მიღება საშუალებას აძლევს მეზღვაურებს, რომ მათი შრომითი დასაქმება გახდეს უფრო სისტემატიზებული. საქართველოს მიერ კანონით გათვალისწინებული რეგულაციები ავალდებულებს კომპანიებს, თავიანთი საქმიანობა მოიყვანონ წესრიგში და იყვნენ აღიარებული საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ. შედეგად, მომავალში დასაქმებულ მეზღვაურებს გარანტირებული აქვთ უსაფრთხო დასაქმება. ადრე კურსდამთავრებულებს ხშირად უხდებოდათ გაურკვეველ კომპანიებში მუშაობა, სადაც არ არსებობდა დაცვის მექანიზმი ავარიის ან კატასტროფის შემთხვევაში. ახლა ეს კონვენცია ავალდებულებს მეზღვაურების დასაქმებაზე პასუხისმგებელ დაწესებულებებს დაიცვან შესაბამისი წესები, ხოლო საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო აკონტროლებს პროცესს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, პროგრამა ითხოვს თუ არა მასწავლებლის სერტიფიკატს. ავთანდილ გეგენავამ განმარტა, რომ მასწავლებლებს, რომლებიც საზღვაო მიმართულებით ასწავლიან და არიან მოქმედი ან ყოფილი მეზღვაურები, სერტიფიკატი აქვთ. კონვენცია ასევე განსაზღვრავს, რომ ყველა მეზღვაური გემზე უნდა იყოს სერტიფიცირებული. ვინც ასწავლის სპეციფიკურ მოდულებს (მაგალითად, საზღვაო უსაფრთხოება, ნავიგაცია), მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კომპეტენციის სერტიფიკატი, მაგალითად, უფროსი მექანიკოსის ან უფროსი თანაშემწის სერტიფიკატი. დავით ჯინჭარაძემ დაამატა, რომ კანონით და კონვენციით ეს სავალდებულოა, რის შედეგადაც ქართველი მეზღვაურები უფრო დაცულნი არიან შრომის კუთხით, ქართული დროშით მცურავ გემებზეც ვრცელდება, და სასწავლებელში ამ მოდულების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კომპეტენციის სერტიფიკატი, რადგან ბევრი მათგანი მოქმედი მეზღვაურია.

დავით ჯინჭარაძემ განმარტა, რომ შრომის საერთაშორისო კონვენცია არ არეგულირებს სერტიფიცირების პირობებს; იგი მხოლოდ შრომასთან დაკავშირებულ პირობებს, სამედიცინო მომსახურებას, ხელფასებს და სხვა შრომითი საკითხებს ითვალისწინებს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სპეციფიკურ მიმართულებებს ყოველთვის აქვს განსხვავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, როგორც საერთაშორისო სტანდარტებით, ისე სპეციალურ სფეროებში (მაგალითად, ავიაცია). მან მიმართა კითხვით ექსპერტს, თუ როგორ ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მონიტორინგი და დოკუმენტირება, და არსებობენ თუ არა განსხვავებული ხარისხის მექანიზმები.

ირმა ქორთუამ, ხარისხის ექსპერტმა, უპასუხა, რომ განსაკუთრებული განსხვავებული მექანიზმები არ აქვთ. არის მხოლოდ ორი დოკუმენტი, რომელიც კადრების მოზიდვისა და

საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესებს განსაზღვრავს, აგრეთვე სტანდარტული ცოდნისა და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

სხდომის დასასრულს გიორგი გაბედავამ დაამატა, რომ დაწესებულებაში შიდა რეგულაციებში არის გაწერილი მოთხოვნები იმ განმახორციელებელი პერსონალის მიმართ, რომლებმაც კონკრეტული მოდული უნდა განახორციელონ. უნივერსიტეტში მიმაგრებული არიან აქტიური დარგის სპეციალისტები, რომლებსაც 15–20 წლიანი ზღვაში ყოფნის გამოცდილება აქვთ და მრავალსაფეხურიანი სერტიფიცირება STCW კონვენციის მიხედვით. რეგულაციებში გაწერილია, რომ რეკრუტირების დროს აღსანიშნავია, შეესაბამება თუ არა კანდიდატის კომპეტენცია და სერტიფიცირება საჭირო მოთხოვნებს. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია, რადგან დასკვნაში სპეციფიკური მიდგომა არც მასწავლებელზე და არც ხარისხის უზრუნველყოფაზე გამოყოფილა, თუმცა ნავიგაციის უნივერსიტეტისთვის ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტისათვის "საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

